საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 573-02
16/03/2018

რექტორის 2018 წლის 12 მარტის N519-02 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

რექტორის 2018 წლის 12 მარტის N519-02 ბრძანების სათაურსა და პირველ პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე, ნაცვლად 2 საშტატო ერთეულისა აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 თებერვლის N1 ოქმის ნიხედვით.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2018 წლის 12 მარტის N519-02 ბრძანების სათაურსა და პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სათაური:

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ".

პირველი პუნქტი:

2018 წლის 13 მარტიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;**

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი